ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 131

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.215.323 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 1000(ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, შპს „რემ ინტერნეიშენელის" (ს/ნ: 204536760) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბენდელიანის და ალექსიძის ქუჩებს შორის მდებარე 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.13.040.021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე